

# საყოველთაო

## ყურადღების ცენტრში:

საქართველოში დაფუძნებული და ახალი  
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა  
დეტალური მიმოხილვა



Funded by the  
European Union



ავტორები: ანა ზამევი, ელენა ტერცი, თომას კომი

თანაავტორი: ანაიდ იერნიაკიანი

წელი: 2021

გამოქვეყნებულია ორგანიზაციის „People in Need“ (ფიფლ ინ ნიდ) მიერ

ფოტოები გარეკანზე:

ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის წინააღმდეგ. ერთ-ერთ მონაწილეს ხელში უკავია ბანერი წარწერით: „არა ნამოხვან ჰესს“.

ქუთაისი, საქართველო, 2021 წლის მარტი

© Mariam Nikuradze/OC Media

ქართველ აქტივისტთა პროტესტი პარლამენტის წინ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მოთხოვნით.

თბილისი, საქართველო, 2020 წლის ივნისი

© Wirestock Creators/Shutterstock.com



ეს შეფასება მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების აქტორები ცვლილებისთვის სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში“ ფარგლებში, რომელიც განახორციელა ორგანიზაციამ „ფიფლ ინ ნიდ“ (People in Need).

პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა როლის განმტკიცება, როგორც ლეგიტიმური, ინკლუზიური და სანდო აქტორების, რომლებიც ხელს უწყობენ ეფექტურ მმართველობას და დემოკრატიზაციის პროცესებს მიზნობრივ ქვეყნებში. იგი ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოების ფართო და ინკლუზიურ განმარტებას, რომელიც აღიქმება „შუამავალ გაერთიანებათა ერთობლიობად, რომელიც არც სახელმწიფო არის და არც გაფართოებული ოჯახი“, [1] და კონკრეტულად მიზნად ისახავს ახალი აქტორების მიზიდვას, როგორებიცაა, სოციალური მომენტები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებების ინიციატივები და სამოქალაქო საზოგადოებათა ახალშექმნილი ორგანიზაციები.<sup>1</sup>

შეფასებითი კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა: პროექტის დაწყებისას, 2020 წლის იანვრიდან მარტამდე, ხოლო შემდეგ თითქმის ერთი წლის შემდეგ, 2021 წლის იანვრიდან აპრილამდე - აქტიური განხორციელების ფაზაში.

იგი ეყრდნობა არსებული კვლევების საოფისე შესწავლას და თითქმის ასამდე ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს / კონსულტაციებს კარგად განვითარებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, წამყვან ადგილობრივ ექსპერტებთან და ამ სფეროში მოღვაწე მკვლევარებთან, ასევე, ახალ და ახალშექმნილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ინიციატივების წარმომადგენლებთან მიზნობრივ ქვეყნებში.

გლობალური პანდემიის პირობებში მესამე სექტორის წინაშე მდგარი საერთო პრობლემების უკეთ აღქმასთან ერთად, ეს შეფასება მიზნად ისახავს მეტი სინათლე მოჰფინოს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და მოლდოვაში ფორმირების სტადიაში მყოფი სამოქალაქო საზოგადოების სტატუსთან, როლთან და საჭიროებებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე, მათ არაფორმალურ ადგილობრივ ინიციატივებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებს.

კვლევა ეფუძნება მთელი რეგიონის მასშტაბით შეგროვებული მოსაზრებების სანიმუშე ერთობლიობას. მისი მიზანია აღწეროს ფაქტები, რომლებიც სირთულეებს უქმნიდა სამოქალაქო სექტორს ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში და ხელი შეუწყოს ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს:

- სამოქალაქო საზოგადოების ლანდშაფტის და მისი კონტექსტისა და საჭიროებების აქტუალური აღქმა, განსაკუთრებული აქცენტით ახალ აქტორებზე, მათ თემატურ ინტერესებზე, ორგანიზაციულ ფორმებზე, გეოგრაფიულ თავისებურებებზე, ადგილობრივ ჯგუფებზე, მიზნებსა და გამოწვევებზე.
- ახალ და უკვე შემდგარ აქტორებს შორის ურთიერთქმედებათა აღქმა, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის.
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და პოტენციალის შექმნის მიზნით ადრე გაწეული ძალისხმევების შედეგად მიღებული გაკვეთილების სწრაფი

<sup>1</sup> ოქსფორდის მითითება: <https://www.oxfordreference.com/view/10.1093/oi/authority.20110803095614189>

მიმოხილვა.

- სექტორის პრიორიტეტული მოთხოვნების აღქმა, ასევე, იმ სფეროების, სადაც კეთილგანზრახვით გაწეულ დახმარებასაც შეუძლია გარკვეული ზიანის მოტანა და ზიანის რისკების შემცირების საშუალებები.
- პროექტის პოტენციურ მონაწილეთა, ასევე, თანამოაზრე ორგანიზაციების, დონორებისა და მენტორების ქსელის განვითარება, რომლებიც შესაძლოა რესურსად იქნეს გამოყენებული პროექტის განხორციელების დროს.
- პროექტის კომპონენტების გაუმჯობესებული დიზაინი, სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობის, კონკრეტულად გამიზნული პოტენციალის გაძლიერების, ოპერატიული მხარდაჭერის, სამოქალაქო ჩართულობის საგრანტო სქემის და ადვოკატირების ინიციატივების, საინფორმაციო საქმიანობის, კვლევების, გაცვლისა და პარტნიორობის ჩათვლით.
- ვინაიდან ინტერვიუს პერიოდში კორონავირუსის კრიზისი დაიწყო, ამ შეფასების მიზანი აგრეთვე არის სამოქალაქო საზოგადოების თავდაპირველი რეაგირების წინასწარი მიმოხილვა.  
ზემოაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით, კვლევის დასასრულს ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები კერძო და სახელმწიფო დონორებისთვის, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააძლიერონ მათ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, გააუმჯობესონ კავშირები ახალ ჯგუფებთან და დახმარება გაუწიონ უფრო მედეგი მესამე სექტორის შექმნას.

---

## მეთოდოლოგია

შეფასების კვლევის ჩასატარებლად ორი მეთოდი იქნა გამოყენებული: არსებული კვლევების საოფისე განხილვა და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები კარგად განვითარებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებთან, მკვლევარებთან და ექსპერტებთან მთელი რეგიონის მასშტაბით.

თითოეულ ქვეყანაში, რესპონდენტთა სანიმუშე ჯგუფთან დაკავშირებამდე, გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების, გეოგრაფიული და თემატური სფეროს, ასაკის, სქესისა და ორგანიზაციული ფორმის მრავალფეროვნება.

ინტერვიუები ჩატარდა რამდენიმე ადგილობრივ ენაზე, ასევე, ინგლისურად და რუსულად.

კვლევას ღირებული საფუძველი შეუქმნა ამ სფეროში წლების განმავლობაში განხორციელებულმა პროგრამებმა და ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ საკუთარმა გამოცდილებამ და ცოდნამ.

ამ კონკრეტული პროექტისა და კვლევის ფარგლებში პოლიტიკური პარტიები და რელიგიური ინსტიტუტები გათვალისწინებული არ ყოფილა, თუმცა ისინი სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელ ნაწილს შეადგენს და ჩვენს ინტერვიუებში

ხშირად არის ნახსენები.

სომხეთში ინტერვიუები 2020 წლის მარტიდან 2021 წლის აპრილამდე ტარდებოდა. ათი პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა დედაქალაქში, ერევანში და ქვეყნის ორ რეგიონში. გარდა ამისა, ათი სატელეფონო ინტერვიუ ჩატარდა სამოქალაქო აქტორებთან ერევნიდან და სხვა სამი რეგიონიდან. მეორე ფაზის განმავლობაში, 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის იანვრამდე, დამატებითი სამი ინტერვიუ ჩატარდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივისტებთან და ერთი ანალიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რაც მიზნად ისახავდა დამატებითი კომენტარების შეგროვებას ომისშემდგომი სიტუაციისა და კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის ზემოქმედების შესახებ.

საქართველოში, ინტენსიური საოფისე კვლევის პირველი ფაზა, ადგილობრივმა ჯგუფმა 2020 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა, რასაც მოჰყვა სიღრმისეული ინტერვიუები სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც 2020 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა საქართველოს რვა რეგიონისა და დედაქალაქის, თბილისის აქტივისტებთან. დამატებითი კვლევა და ორი ინტერვიუ ადგილობრივ აქტივისტთან და მკვლევართან ონლაინ ფორმატში ჩატარდა 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის აპრილამდე, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ხანგრძლივი 'ლოქდაუნის' შემდგომი პერიოდის შესახებ განახლებული ინფორმაციის შეგროვებას.

მოლდოვაში, პროექტის პირველი საფეხურის განმავლობაში, 2020 წლის თებერვლიდან აპრილამდე, 16 ინტერვიუ ჩატარდა არსებული და ახალშექმნილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ინიციატივების წარმომადგენლებთან - როგორც რეგიონში, ისე დედაქალაქში, კიშინიოვში. გარდა ამისა, რამდენიმე ინტერვიუ ჩატარდა დნესტრისპირეთელ აქტივისტებთან თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დღეისათვის არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. ჩატარებული გასაუბრებებიდან დაახლოებით ნახევარი ჩატარდა პირისპირ, ხოლო მეორე ნახევარი - საიმედო პლატფორმების მეშვეობით, როგორცაა, ზუმი ან სკაიპი, ან ტელეფონით. პროექტის მეორე ფაზის განმავლობაში დამატებითი კვლევა და ორი ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ ფორმატში.

აზერბაიჯანში შეფასების კვლევა ეფუძნება - ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც მან ქვეყანაში ბოლო რვა წლის მუშაობის შედეგად დააგროვა, საოფისე კვლევას, და 15 ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს, რომლებიც 2020 წლის გაზაფხულიდან 2021 წლის იანვრის დასაწყისამდე ჩატარდა. რესპონდენტთა შორის იყვნენ კარგად ნავითარებული არასამთავრობო ორგანიზაციების, არაფორმალური ინიციატივებისა და მოძრაობების წარმომადგენლები აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან და ორი რეგიონიდან.



# ეროვნული კონტექსტი

საქართველოში თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაიწყო, როდესაც საბჭოთა კავშირის ახალმა ლიდერმა, მიხეილ გორბაჩოვმა, 'პერესტროიკისა' და 'გლასნოსტის' პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. პირველი მოძრაობები იმ პერიოდში ჩაისახა და ისინი ფოკუსირებული იყო ეკოლოგიურ, კულტურულ და ეროვნულ საკითხებზე, ფართომასშტაბურ პრობლემურ საბჭოთა პროექტებზე და საბჭოური ერთობის ძირითად პრინციპებზე. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით საერთო-ეროვნულ მოძრაობად იქცა, რომელიც საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობასა და საქართველოს ტერიტორიიდან რუსი ჯარისკაცების გაყვანას ითხოვდა. თუმცა პოლიტიკურად მოტივირებულ და არაპოლიტიკურ ჯგუფებს შორის განსხვავება ბუნდოვანი იყო.<sup>2</sup> ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უფრო გვიანი პერიოდის მოძრაობები იყო განსაკუთრებით პოლიტიზირებული და უფრო ზემოდან-ქვემოთ პრინციპით ორგანიზებული - და არა პირიქით, ხოლო მოგვიანებით საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ ეს მოძრაობები საბჭოთა გავლენას განიცდიდა.

საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისი ასოცირდება სამოქალაქო ომთან, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გამეფებას მოჰყვა, და ეთნიკურ კონფლიქტებთან სამხრეთი ოსეთისა (1991-1992) და აფხაზეთის (1992-1993) რეგიონებში, რამაც გამოიწვია პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური და სოციალური კრიზისები, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ორი თვითგამოცხადებული რეგიონი გაჩნდა. 90-იან წლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას თავიდანვე მხარს უჭერდნენ ევროპული და ამერიკული დონორი ორგანიზაციები და ფონდები. როგორც ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა განაცხადა, იმ პერიოდში, რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის ძირითადი მოტივაცია, საზღვარგარეთიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა იყო. გარდა ამისა, დარეგისტრირებულ ორგანიზაციას შეეძლო უფრო იოლად მიეღო მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში ან ლობირების პროცესებში, რაც ბევრისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის შესაქმნელად.

1990-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა რაოდენობის ზრდა დაიწყო და მათმა რაოდენობამ რამდენიმე ათასს მიაღწია. ორგანიზაციები საკითხთა ფართო დიაპაზონზე იყვნენ ფოკუსირებული - დემოკრატიის ხარისხით დაწყებული, მედიის თავისუფლების თუ უმცირესობათა უფლებებით დამთავრებული. პროფესიული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად უცხოურ ფონდებზე იყვნენ დამოკიდებული, თანდათანობით სამოქალაქო საზოგადოების მთავარი წარმომადგენლები გახდნენ. „თავიანთი მხრივ, აქტიურ ადამიანებსა და ჯგუფებს, ახალ რესურსებზე წვდომა გაუჩნდათ თავიანთი ინიციატივების განსახორციელებლად ქართულ საზოგადოებაში. იმ დროს შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად დასავლეთის ფონდების ფინანსურ დახმარებაზე იყვნენ დამოკიდებული. სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ძირითად ფორმას სწორედ ისინი წარმოადგენდნენ: მას შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოების არასამთავრობო ორგანიზაციებად ჩამოყალიბების პროცესი“.<sup>3</sup>

იმ პერიოდში დონორთა წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა პერსონალს ფინანსურ რესურსებზე თავისუფალი წვდომა მიეცათ. საყოველთაო უმუშევრობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ამით მათ მნიშვნელოვანი ძალაუფლება და სტატუსი მიიღეს. მთავარი ხმების თანახმად, ზოგი მათგანი ამ სიტუაციას პირადი

<sup>2</sup> მშვიდლობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი (2005). სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები

<sup>3</sup> იქვე

სარგებლისთვის იყენებდა. მთავრობა ცდილობდა პრობლემა უმნიშვნელოდ წარმოეჩინა, თუმცა გავრცელებული კორუფციისა და იმავე პერიოდში პრივატიზაციასთან დაკავშირებული თაღლითობის შემთხვევათა გამო, საზოგადოებას მიაჩნდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უპირველესი ამოცანა იყო პირადი სარგებელი, ხოლო საზოგადოების საჭიროებები - მხოლოდ ამის შემდეგ. ასეთი საზოგადოებრივი აზრი მრავალი წლის განმავლობაში დომინირებდა, ფინანსური კონტროლისა და აუდიტორული შემოწმებების მიუხედავად, რომლებიც დახმარების სექტორში 2000-იანი წლების შემდეგ ხორციელდებოდა.

2003 წლის ეგრეთ წოდებულ ვარდების რევოლუციას ბიძგი მისცა მასშტაბურმა პროტესტმა, რომელიც არჩევნების სადავო შედეგებმა გამოიწვია და საქართველოში მიმართულების ცვლილებას დაუდო სათავე. პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელიც ამ პოსტზე 1995 წლიდან იყო, ახალმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა. ქვეყანამ გააძლიერა თავისი პროდასავლური საერთაშორისო პოლიტიკა, ფოკუსირება მოხდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევაზე და საჯარო სერვისებისა და სამართალდამცავი ორგანოების ტრანსფორმირებაზე, განხორციელდა თავისუფალი ბაზრის რეფორმები. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ახალ მთავრობაში ბევრი წევრი არასამთავრობო სექტორიდან მივიდა. გარდა ამისა, საპროტესტო ღონისძიებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდული წინააღმდეგობის მოძრაობამ „კმარა“ - როგორც ვარდების რევოლუციამდე, ისე მის დროს - რომელმაც შევარდნაძის რეჟიმის მკაცრი კრიტიკა დაიწყო. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის მთავრობაში გადასვლამ შესაძლოა სექტორის დასუსტება გამოიწვია, ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ „აღარ იყო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სამთავრობო პოლიტიკას გააკონტროლებდა“. დონორებიც პირდაპირ უჭერდნენ მხარს საქართველოს ახალ მთავრობას.<sup>4</sup> ვარდების რევოლუციამ სამოქალაქო საზოგადოებაზე კიდევ ერთი გავლენა მოახდინა - გაიზარდა უფრო მემარცხენე და ეკოლოგიურ საკითხებზე ფოკუსირებული მოძრაობები, რაც შესაძლოა სააკაშვილის მთავრობის ბიზნესზე ორიენტირებულმა და ლიბერალურმა პოლიტიკამ გამოიწვია.

მიხეილ სააკაშვილის მცდელობამ, აღედგინა საქართველოს კონტროლი სეპარატისტულ რეგიონებზე, ძლიერ პროდასავლურ პოლიტიკასთან ერთად, ქვეყანა მალე რუსეთთან კონფრონტაციამდე მიიყვანა. 2008 წლის ომს რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარება მოჰყვა, რითაც ისინი თბილისის კონტროლს კიდევ უფრო დაშორდნენ.

ომის დროს, რომელიც რამდენიმე დღე მიმდინარეობდა, ასობით ადამიანი დაიღუპა და ათასობით ადამიანი დევნილი გახდა. დოკუმენტირებულ იქნა<sup>5</sup> ჰუმანიტარული სამართლის სავარაუდო დარღვევები, რომლებიც ორივე მხარის მიერ იყო ჩადენილი, ხოლო რუსეთი დამნაშავედ ცნეს ადამიანის უფლებათა დარღვევებში.<sup>6</sup> 13 წლის შემდეგ საქართველოს რუსეთთან კვლავ დამაბული ურთიერთობა აქვს, ხოლო ტერიტორიული კონფლიქტები მოუგვარებელია.

საკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში იმატა ავტორიტარულმა ტენდენციებმა და

<sup>4</sup> აზიის განვითარების ბანკი (2020). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მოკლე მიმოხილვა. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.adb.org/sites/default/files/publication/678381/civil-society-brief-georgia.pdf>

<sup>5</sup> Human Rights Watch (2009). „ცეცხლის ალში. ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში“ მასალა ვებგვერდიდან <https://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf>

<sup>6</sup> სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთი ახდენს აფხაზეთიას და სამხრეთი ოსეთის „პირდაპირ კონტროლს“ (2021). Euractiv. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/strasbourg-court-rules-russia-has-direct-control-over-abkhazia-south-ossetia/>

კლემენტოვსკი, რაც მის პოლიტიკურ პარტიასთან იყო დაკავშირებული.<sup>7</sup> იმ პერიოდში დონორთა მხარდაჭერა კვლავ სამოქალაქო საზოგადოებისკენ გადაიხარა, რაც ამ სექტორში პროფესიონალთა ახალი ნაკადის შემატებას ნიშნავდა.<sup>8</sup>

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით დასრულდა სააკაშვილის ეპოქა, როდესაც, პირველად საქართველოს ისტორიაში, ძალაუფლება მშვიდობიანი გზით გადავიდა გამარჯვებული „საქართველოს ოცნების“ კოალიციის ხელში. ამ პროცესში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი როლი შეასრულა. იგი მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა პროცესებს როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ, კერძოდ, ამომრჩეველთა განათლების, არჩევნების მონიტორინგისა და სხვა მოქმედებათა მეშვეობით.<sup>9</sup> ამავდროულად, საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობა საპარლამენტო დემოკრატიის სისტემით შეიცვალა.<sup>10</sup> 2018 წელს საქართველოს პრეზიდენტი გახდა სალომე ზურაბიშვილი, პირველი ქალი პრეზიდენტი ქვეყნის ისტორიაში.

ახალი ათასწლეულის დადგომის შემდეგ, სააკაშვილის მმართველობიდან დაწყებული - დღევანდელი დღემდე, სამოქალაქო საზოგადოების სექტორში გაჩნდა ახალი აქტორების ნაკადები სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ინიციატივების ფორმით.<sup>11</sup> ახალი ჯგუფები ითხოვდნენ გარემოს დაცვას, სოციალურ უფლებებს ან ნარკოტიკების ლიბერალიზაციას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გენდერულ საკითხებს ან ლგბტქ თემის უფლებათა დაცვას. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინიციატივა იყო „თეთრი ხმაურის მოძრაობა“,<sup>12</sup> რომელიც მოითხოვდა ნარკოპოლიტიკის რეფორმას, ასევე, ახლახანს, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი პროტესტი ნამახვანის ჰესთან დაკავშირებით, რომელსაც „ხეობის დამცველები“ ხელმძღვანელობდნენ.<sup>13</sup> ამ ინიციატივებით - რომლებიც ხშირად მოხალისეებს ეყრდნობა, არ არის ინსტიტუციონალიზებული ან საზოგადოებიდან იღებს სათავეს - საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ახალ ფორმას.

თუმცა „ლიბერალურმა“ სამოქალაქო საზოგადოებამ კონკურენტი იპოვა უკიდურეს მემარჯვენე ჯგუფებში, რომლებიც ცდილობდნენ საზოგადოების უკმაყოფილება ისეთი თემებისადმი სიძულვილში გადაეზარდათ, როგორც არიან იმიგრანტები, ლგბტქ პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვა ჯგუფები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე და სამოქალაქო საზოგადოების სექტორზე ზოგიერთ თავდამსხმელთა უკან შეიძლება ულტრამემარჯვენე ჯგუფები იდგნენ, რომლებიც მათ „უცხოური გავლენის აგენტებს“ ეძახიან. ულტრამემარჯვენე ნარატივებმა ლეგიტიმურობა ქართულ საზოგადოებაშიც მოიპოვა, რასაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ჩუმი მხარდაჭერა უწყობს ხელს.<sup>14</sup> ულტრამემარჯვენე აქტივისტთა ახალგაზრდა თაობა ამერიკელ და ევროპელ თანამოაზრეთა სტილს ირჩევს. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც სახელი დაარქვეს

<sup>7</sup> „მიხელ სააკაშვილის აღზევა და დაცემა“ (2018). Politico. აღებულია ვებგვერდიდან: <https://www.politico.eu/article/the-rise-and-fall-of-mikheil-saakashvili/>

<sup>8</sup> აზიის განვითარების ბანკი (2020). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მოკლე მიმოხილვა. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.adb.org/sites/default/files/publication/678381/civil-society-brief-georgia.pdf>

<sup>9</sup> იქვე

<sup>10</sup> აღმოსავლეთ-დასავლეთი მართვის ინსტიტუტი (2019). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის შეფასება.

<sup>11</sup> ა. აშვანიანი. (2014) შექმნილი სამოქალაქო საზოგადოება: 20-წლიანი დემოკრატიის ხელშეწყობის ზემოქმედება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ლონდონის ეკონომიკის სკოლა.

<sup>12</sup> წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება საქართველოში ნარკოტიკების ომის მიმართ (2016). ღია დემოკრატია. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.opendemocracy.net/en/odr/fighting-back-against-georgia-s-war-on-drugs/>

<sup>13</sup> 170-ზე მეტი პროტესტი ნამახვანის ჰესის დახურვის თაობაზე (2021). Georgia today. მასალა ვებგვერდიდან: <https://georgiatoday.ge/the-170-day-protest-to-shut-down-the-namakhvani-hpp/>

<sup>14</sup> Freedom House (2020). სპეციალური მოხსენება: ულტრამემარჯვენეთა ახალი ევრაზიული აჯანყება: მოსაზრებები უკრაინის, საქართველოსა და სომხეთის შესახებ. მასალა ვებგვერდიდან: [https://freedomhouse.org/sites/default/files/2020-02/FarRightEurasia\\_FINAL.pdf](https://freedomhouse.org/sites/default/files/2020-02/FarRightEurasia_FINAL.pdf)



გერმანული ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პატივსაცემად, ულტრამემარჯვენე მოძრაობათა წარმატებებზე დაკვირვების შემდეგ შეიქმნა, და მრავალმა მათგანმა პოპულარობა სოციალური ქსელების გამოყენებით მოიპოვა. მათ პირდაპირი კონტაქტი აქვთ ევროპის ზოგიერთ ულტრამემარჯვენე ჯგუფთან, რომლებიც მხარს უჭერენ ერთმანეთს და ანტილიბერალურ და ანტიგლობალურ იდეებს იზიარებენ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებული შეხედულებები აქვთ თავიანთი საზოგადოებების გარდაქმნის გზებთან მიმართებით.“<sup>15</sup>

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაზე მოქმედ გარეშე ფაქტორებს, ვარდების რევოლუციის შემდეგ დემოკრატიისა და სახელმწიფოს მშენებლობის სფეროში გადადგმული დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, ქვეყანას უკუუსვლის პერიოდი დაუდგა, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში დემოკრატიის ხარისხი სტაგნაციას განიცდის.<sup>16</sup> საქართველო რეგიონში გამოირჩევა უფრო ეფექტური მმართველობით, ანტიკორუფციული პოლიტიკის ჩათვლით, თუმცა კვლავ არის სუსტი წერტილები მთავრობის ანგარიშვალდებულების და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. ეს ის სფეროებია, რომლებმაც ბოლო წლებში მასშტაბური პროტესტები და მთავრობის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

„მსოფლიოს თავისუფლების ინდექსის“ (Freedom in the World index) მიხედვით, საქართველო ნაწილობრივ თავისუფალ<sup>17</sup> ქვეყნად არის მიჩნეული, ხოლო CIVICUS-ის ჯგუფი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას აკვირდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოს სამოქალაქო სივრცეს შევიწროვებულად ახასიათებს.<sup>18</sup> სულ ახლახანს მსოფლიო ბანკმა საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების კატეგორიას მიაკუთვნა,<sup>19</sup> თუმცა სიღარიბე კვლავ ფართოდ არის გავრცელებული, რადგან მოსახლეობის 20% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს,<sup>20</sup> ხოლო მოსახლეობის ამდენივე პროცენტი უმუშევარია.<sup>21</sup> ნამდვილი მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია, ვინაიდან, სოფლის დასახლებებში, მიწის წვრილი მესაკუთრეები მიიჩნევიან ფერმერებად, და არა უმუშევრებად. რესპონდენტებმა სიღარიბე სამოქალაქო საზოგადოების ზრდის ერთ-ერთ შემზღვევად ფაქტორად დაასახლეს.

საქართველოში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 4,5 მილიონი ადამიანია, მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, მაგალითად, აზერბაიჯანელთა და სომეხთა თემები. ბევრ მათგანს ენობრივი ბარიერი აქვს, რადგან ქართულად საუბარი ხშირად არ უწევთ, რაც ქვეყნის მმართველობაში მათ მონაწილეობას ასუსტებს.<sup>22</sup> ამის გამო ეთნიკური უმცირესობა საქართველოს „პოლიტიკური სივრცის“ მიღმა რჩება.

კოვიდ-19 პანდემიის დროს საქართველომ რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მკაცრი შეზღუდვები შემოიღო, რითაც პანდემიის პირველ ეტაპზე მინიმუმამდე დაიყვანა სიკვდილიანობის დონე, თუმცა სერიოზული ზემოქმედება იქონია მოსახლეობის საარსებო საშუალებებზე, რადგან შეზღუდვების შედეგად ტურიზმის მნიშვნელოვანი ინდუსტრია

<sup>15</sup> იქვე

<sup>16</sup> აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (2019). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის შეფასება.

<sup>17</sup> Freedom House (2021). თავისუფლება მსოფლიოში 2021. მასალა ვებგვერდიდან: <https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores>

<sup>18</sup> CIVICUS მონიტორი: საქართველო 2020. მასალა ვებგვერდიდან: <https://monitor.civicus.org/country/georgia/>

<sup>19</sup> ქვეყნების ახალი კლასიფიკაცია შემოსავლის დონის მიხედვით: 2019-2020 (2019) მსოფლიო ბანკი. მასალა ვებგვერდიდან: <https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2019-2020>

<sup>20</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019). ცხოვრების პირობები. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions>

<sup>21</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2020). დასაქმება და უმუშევრობა. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment>

<sup>22</sup> აზიის განვითარების ბანკი (2020). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მოკლე მიმოხილვა.

## ახალი სამოქალაქო საზოგადოება

ახალი სამოქალაქო საზოგადოების აქტორები 2000-იანი წლების დასაწყისში და სააკაშვილის ეპოქაში გამოჩნდნენ. ისინი ერთმა რესპონდენტმა ამგვარად დაახასიათა: „ამ ჯგუფებში ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც სოციალურ ქსელებს იყენებენ. ისინი რეალურად მოტივირებული ადამიანები არიან, რომლებსაც აწუხებთ მათ მიერ დაყენებული საკითხები“. ერთმა რესპონდენტმა საკითხი კიდევ უფრო გააფართოვა: „აქტივისტებს აწუხებთ პრობლემები და ცვლილებების მიღწევა სურთ. იმის მიუხედავად ბიუჯეტი აქვთ თუ არა, მომხრეები ჰყავთ თუ არა - ისინი ზრუნავენ და მოქმედებენ“. ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების ახალ სუბიექტებს ახასიათებდნენ, როგორც ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანებს, რომლებიც ფონდების მოძიებისთვის ინოვაციურ მეთოდებს იყენებენ, აქვთ კომუნიკაციის კარგი სტრატეგიები, იყენებენ სოციალურ მედიას და ხშირად „არასტანდარტული“ მეთოდებით მოქმედებენ. მათი კამპანიები „არსებით საჭიროებებზე დაფუძნებულ ბუნებრივ რეაგირებად“ აღიქმებოდა.

მეორე მხრივ, ინიციატივებს ხშირად უკავშირებენ წამყვან ფიგურებს მათ დამფუძნებლებსა და წევრებს შორის; მათთვის დამახასიათებელია ფინანსური და ორგანიზაციული მდგრადობის ნაკლებობა, ფინანსური და ადამიანური რესურსების არქონა, მათ წევრებს მიიჩნევენ პროექტის მართვის უნარების არმქონედ (როგორცაა, მოხსენება, ანგარიშგება, ფინანსური მენეჯმენტი ან საბიუჯეტო უნარები) ან საჭირო ენობრივი უნარების არმქონედ (ინგლისურის). ამ ინიციატივათა საერთო სუსტ მხარეებს შორის მოხსენიებულ იქნა პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობის და შიდა კონფლიქტების მართვის უნარის ნაკლებობა. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ ეს ინიციატივები გამოხატავდნენ მზაობას თანამშრომლობისა და სწავლისთვის.

ამრიგად, ეს ახალი ინიციატივები ტრადიციული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან გამოირჩეოდა საქმიანობის ორგანული და მოქნილი მეთოდებით, საზოგადოებასთან ენერგიული კავშირებით, რაც მათი რეალური დამატებითი ღირებულებაა მათ მიერ წამოჭრილი საკითხების ადვოკატირებისა და ხელშეწყობისთვის. მეორე მხრივ, მათ ხშირად არა აქვთ უნარები, რომლებიც ინსტიტუციური დონორებისაგან მიღებული დიდი მოცულობის თანხების მართვისთვის ანდა თავიანთი ადმინისტრაციული მოთხოვნებისთვის არის საჭირო, რაც შესაძლოა ზოგიერთმა მათგანმა მიუღებლად მიიჩნიოს. ზოგიერთი ინიციატივისთვის, რომლებიც მემარცხენე პოლიტიკურ მოძრაობებს თანაუგრძობენ, შეიძლება თავიც კი შეიკავონ საერთაშორისო დაფინანსების მიღებისაგან. ასეთი სუბიექტების მხარდაჭერას დონორებისთვის რეალური სარგებელი მოაქვს, თუმცა, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „ამავდროულად წარუმატებლობის რისკიც არსებობს, რომელიც მათ თავიანთ თავზე უნდა აიღონ“.

<sup>23</sup> UN Georgia (2020). შენება საქართველოში სჯობს, მასალა ვებგვერდიდან: [https://unsdg.un.org/sites/default/files/2020-09/GEO\\_Socioeconomic-Response-Plan\\_2020.pdf](https://unsdg.un.org/sites/default/files/2020-09/GEO_Socioeconomic-Response-Plan_2020.pdf)

# სამართლებრივი გარემო, დაფინანსება და უცხოელი დონორები

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ფუნდამენტურ თავისუფლებებს, როგორცაა, გაერთიანების თავისუფლება. სამოქალაქო საზოგადოების რეგულირება ასევე ხდება სამოქალაქო კოდექსისა და სხვა კანონების საფუძველზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არსებობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით, ამავდროულად არ არსებობს ფორმალური ხასიათის რაიმე ტერიტორიული ან ოპერირებასთან დაკავშირებული შეზღუდვა სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ან ფუნქციონირების თვალსაზრისით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შესახებ ბოლო მონაცემების შესაბამისად, ქვეყანაში 29 000-ზე მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია არის რეგისტრირებული, თუმცა მათ შორის მხოლოდ 1000 ორგანიზაცია არის აქტიური.<sup>24</sup> საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მიეკუთვნება რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, კვლევითი ინსტიტუტები, შრომითი გაერთიანებები, რელიგიურ საფუძველზე შექმნილი გაერთიანებები, პროფესიული გაერთიანებები ან სავაჭრო პალატები. თუმცა ბევრი საზოგადოებრივი ჯგუფი, აქტივისტი თუ საზოგადოებრივი მოძრაობა, ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე საქმიანობს.<sup>25</sup>

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დაფინანსებას ძირითადად უცხოური ინსტიტუციური დონორებისაგან იღებენ. ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის გზამკვლევის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა 63% (კვლევის დროს გამოკითხულები) ინსტიტუციურ დაფინანსებას უცხოური დონორებისაგან იღებს, 31% - სამთავრობო დაწესებულებებისაგან, 22% - ინდივიდუალური შემოწირულობებით, ხოლო 17% აცხადებს, რომ ფინანსებს კერძო სექტორისაგან იღებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დაახლოებით 37% აცხადებს, რომ ფონდებს ეკონომიკური საქმიანობისაგან იღებს.<sup>26</sup> თუმცა სამოქალაქო საზოგადოების შეფასების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა 95% უცხოური დონორების დაფინანსებით ფუნქციონირებს.<sup>27</sup> უცხოელ დონორთა დაფინანსებიდან დიდი წილი ევროპის კავშირზე და ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები შემუშავდა, ისინი საკმარისი არ არის, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი ორგანიზაცია მთავრობისაგან ფონდების მიღებაზე უარს ამბობს, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს მათი

<sup>24</sup> CSO meter (2020). განახლებული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. მასალა ვებგვერდიდან: <https://csometer.info/countries/georgia>

<sup>25</sup> აზიის განვითარების ბანკი (2020). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მოკლე მიმოხილვა. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.adb.org/sites/default/files/publication/678381/civil-society-brief-georgia.pdf>

<sup>26</sup> აღმოსავლეთი პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი. ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა საგზაო რუკა, 2014-2017 წლების მთავარი მიღწევები. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/publications/eu-cso-roadmap-2014-2017-georgia-key-achievements>

<sup>27</sup> CSO meter (2020). განახლებული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. მასალა ვებგვერდიდან: <https://csometer.info/countries/georgia>

დამოუკიდებლობისთვის საზიანო იქნება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის არც შედეგები არის გათვალისწინებული, მაგალითად, შემცირებული გადასახადი, და ამ სფეროში მათზე ბიზნესისთვის დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება.<sup>28</sup>

---

## ძირითადი შეზღუდვები

ქვემოთ მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების წინაშე მდგარი შეზღუდვების შეფასება. იგი ეფუძნება საოფისე კვლევასა და 20 ინტერვიუს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან და მკვლევარებთან. ეს ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის თერვალ-აპრილში (18 ინტერვიუ) და 2021 წლის მაისში (2 დამატებითი ინტერვიუ ინფორმაციის განახლების მიზნით).

### დონორზე დამოკიდებულება

ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა საგზაო რუკა (იხ. ზემოთ) უჩვენებს, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა სექტორი დიდწილად არის დამოკიდებული უცხოური ინსტიტუციური დონორების დაფინანსებაზე. დონორებზე დამოკიდებულება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა სექტორის უმთავრესი გამოწვევაა, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა უმრავლესობის პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ადგილობრივ თემებთან ურთიერთობებით დაწყებული (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ფინანსური მდგრადობის ჩათვლით), სამოქალაქო საზოგადოების სექტორისადმი საზოგადოების ნდობის საერთო დონით დამთავრებული.

დონორების მიერ გაწეული დახმარება ძირითადად პროექტებისთვის არის გამიზნული, შედარებით შეზღუდული მხარდაჭერით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარებისა და მათი საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებისთვის. შეფასების შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციამ შეძლო გრძელვადიანი სერვისების განვითარება და ბენეფიციარებთან და ადგილობრივ თემებთან ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბება. მრავალი ორგანიზაცია ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

ასეთ გარემოებებში დონორები ხშირად ხდებიან დამდგმელი რეჟისორები, რომლებიც აშუქებენ კონკრეტულ პრობლემებს, თემებს, საჭიროებებს ან გეოგრაფიულ არეალებს, რომლებიც პრიორიტეტულად აქვთ გამოცხადებული საკუთარი ანალიზის საფუძველზე, და არა თვით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის. ამის შედეგად წარმოიშობა განსხვავება დონორთა მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და ადგილობრივ მოთხოვნებს შორის და, შესაბამისად, თემატური ან გეოგრაფიული უთანაბრობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილ სფეროებში ფაქტობრივი საჭიროებები შეიძლება მაღალი იყოს. სამოქალაქო საზოგადოების მრავალი

---

<sup>28</sup> აზიის განვითარების ბანკი (2020). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მოკლე მიმოხილვა. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.adb.org/sites/default/files/publication/678381/civil-society-brief-georgia.pdf>



ორგანიზაცია ხშირად ცვლის მიმართულებას და ერთი თემატური სფეროდან მეორეზე გადადის, რათაც რეაგირებას ახდენს დონორის პრიორიტეტების ცვლილებაზე. სამოქალაქო საზოგადოების უნარები - თვითონ მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და შესთავაზოს საკუთარი გადაწყვეტის გზა, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული საზოგადოებებში მის არსებობასთან - მნიშვნელოვანწილად განუვითარებელი რჩება.

გარდა ამისა, დონორთა დახმარება ძირითადად მთავარ ქალაქებსა და ცენტრებზე არის კონცენტრირებული, რაც სირთულეებს უქმნის რეგიონებში შექმნილ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, სადაც დაფინანსების ნაკლები შესაძლებლობები არსებობს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგ რეგიონში, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში, ქალაქ ფოთში ან გურიაში, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები პრაქტიკულად წარმოდგენილი არ არის (ასეთი მოსაზრება ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ამ ინიციატივების ნაკლები თვალსაჩინოებით). ჩატარებული ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ზოგიერთ გეოგრაფიულ რეგიონში (მაგალითად, პანკისის ხეობაში, კახეთში, აჭარის გარკვეულ რაიონებში, რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში) და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე, მრავალი საჭიროება არის გამოვლენილი. ასეთი საჭიროებები ასევე აღინიშნება კონკრეტული თემების ფარგლებში, როგორცაა, უსახლკარობა, ოჯახში ძალადობა, სექსუალური ძალადობა ან ლგბტკ უფლებები.

## დაფინანსების შეზღუდული მექანიზმები, მრავალფეროვნების გარეშე

ფინანსირების საშუალებები შეზღუდული და არასაკმარისად მრავალფეროვანია. როგორც უკვე ითქვა, დონორთა დახმარება არაპროპორციულად არის გავრცელებული თემატური და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ხოლო ფინანსური დახმარება ძირითადად დიდ ქალაქებშია კონცენტრირებული, როგორცაა, თბილისი. ის ფაქტი, რომ მუნიციპალურ დონეზე ფინანსირება ძალზე შეზღუდულია ან ზოგჯერ საერთოდ არ არსებობს, განსაკუთრებით აბრკოლებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დივერსიფიცირებას. განსაკუთრებით არასაკმარისია სოციალური მოძრაობებისა და მასობრივი ინიციატივებისთვის გათვალისწინებული დახმარება, რომლებიც ხშირად ჩვეულებრივად დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ.

რესპონდენტები ასევე მიუთითებდნენ ძირითადად ცალმხრივ კომუნიკაციაზე დონორებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მოსაზრებებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დონორები პრიორიტეტებს ანიჭებენ ადვოკატირების გარკვეულ აქტივობებს, მაშინ როცა მცირდება თემის განვითარებისთვის ან კონკრეტული სერვისებისთვის განკუთვნილი ფინანსების ოდენობა.

ჩვენი შეფასების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია ფინანსირების შესაძლებლობათა შესახებ (შესაძლო გრანტები ან საკონკურსო განაცხადები); ზოგმა რესპონდენტმა კონკრეტულად მიუთითა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა არ იციან ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, თუმცა ზოგიერთი მათგანი არსებობს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით, ან ენობრივი ბარიერით.

## შესაძლებლობათა და ადამიანური რესურსების ნაკლებობა

ფინანსურ მდგრადობასთან, არასაკმარის დაფინანსებასთან და დონორთა პრიორიტეტების ცვლილებასთან (რაც ზემოქმედებას ახდენს თემებზე, რომლებზედაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არიან ფოკუსირებული) დაკავშირებული პრობლემები ხშირად იწვევს პროფესიულ „გამოფიტვას“ და მოტივაციას ამცირებს არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთა შორის,

რომლებიც სხვა სექტორში გადასვლის გადაწყვეტილებას იღებენ, რათა უფრო მდგრადი შემოსავალი და უფრო ღირსეული ხელფასი ჰქონდეთ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ეს ნიშნავს კვალიფიციური პერსონალის გადინებას და სექტორული გამოცდილებისა და ცოდნის დაკარგვას, ასევე, უნარების სავარაუდო დეფიციტს ისეთ სფეროებში, როგორცაა, ფონდების მოპოვება, საკონკურსო განაცხადების დაწერა, პროექტის ციკლური მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი ან ანგარიშგება. ზოგ შემთხვევებში სხვადასხვა სფეროს ექსპერტები იძულებული არიან ამავდროულად დაკავებული იყვნენ ფონდების მოზიდვით ან მენეჯერული საქმიანობით, ან მრავალი სხვა ფუნქციის შესრულებით. აქედან გამომდინარე, არასათანადო უნარები აგრეთვე დაკავშირებულია მართვის ადეკვატური სტრუქტურის არარსებობასთან, რაც პერსონალს სპეციალიზაციის ან ადამიანური რესურსების უკეთ მართვის საშუალებას მისცემდა.

ჩვენი რესპონდენტების კომენტარების შესაბამისად, თბილისში სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ რამდენიმე წარმატებულ ორგანიზაციას აქვს უნარი დაძლიოს ფინანსების ნაკლებობა, რათა შეინარჩუნოს თავისი პერსონალი. მცირე ორგანიზაციებს მუდმივად უხდებთ ბრძოლა გადარჩენისთვის, აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც მათი თანამშრომლების არსებობასთან არის დაკავშირებული, რაც შემდგომში მათ პროფესიულ „გამოფიტვას“ იწვევს. ამის შედეგად, რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა უმრავლესობა ერთკაციანი ორგანიზაციაა, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული დამფუძნებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი სამეთვალყურეო საბჭოები ფორმალურად არსებობს, მხოლოდ რამდენიმე ასეთი საბჭოა რეალურად ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ცხადია, რომ მოხალისეობის კულტურა არასათანადოდ არის განვითარებული, რადგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მხოლოდ ერთი მესამედი აცხადებს, რომ მათ ჰყავთ მოხალისეები.<sup>29</sup>

ახალშექმნილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ახალბედა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებისთვის დახმარების კონტექსტში რესპონდენტებმა სხვადასხვა საჭიროებები აღწერეს. ამ აქტორთა დახასიათებისას აღნიშნეს, რომ მათ აქვთ საზოგადოების წარმატებით მობილიზების, პროტესტზე და ქუჩის აქციებზე ფოკუსირების უნარი, თუმცა მიიჩნევენ, რომ მათ არა აქვთ პოლიტიკურ დიალოგში ჩართვის, მათი მოთხოვნების კონკრეტულ პოლიტიკად გარდაქმნის ან საჭირო ცვლილების მისაღწევად კონკრეტული წინადადებების მომზადების უნარი ან გამოცდილება. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, სამოქალაქო საზოგადოების ახალმა აქტორებმა და აქტივისტებმა არ იციან როგორ მუშაობს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება, არა აქვთ ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებისა და ინსტიტუტების შესახებ და არასათანადო დონეზე აქვთ განვითარებული ადვოკატირებისა და კომუნიკაციის უნარები, რაც სხვადასხვა აუდიტორიისთვის მათი გზავნილების ეფექტური კომუნიკაციისთვის არის აუცილებელი. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად იზღუდება მათი მოქმედებების ეფექტიანობა.

## ნდობის და თანამშრომლობის არასაკმარისი დონე

საქართველოს საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ნდობის დონე შედარებით დაბალია. „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ინიციატივის“ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს მოსახლეობის 28% ენდობა, ხოლო 18%-მა მათ უნდობლობა გამოუცხადა. ამ გამოკითხვის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე დაბალი სანდოობით სარგებლობენ, ხოლო მოსახლეობის ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობენ რელიგიური ინსტიტუტები (83%) და ჯარი (79%). არასამთავრობო ორგანიზაციებზე უკეთესი ქულები მიიღო ყველა ძირითადმა ინსტიტუტმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და, მაგალითად,

<sup>29</sup> CIVICUS (2010). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.civicus.org/downloads/CSI/Georgia.pdf>

ევროპის კავშირმა.<sup>30</sup> იგივე ტენდენცია დაადასტურეს რესპონდენტებმა. მათ კამპანიებზე გამოხატული რეაქციების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები მიაჩნიათ „საკუთარი ინტერესების გამტარებლად“, ან სულაც „პოლიტიკური თუ უცხოური პროგრამების“ მხარდამჭერად. ასეთი შეხედულება შეიძლება დაკავშირებული იყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ისტორიასთან, რადგან მოქალაქეებს არ სჯერათ, რომ ისინი მათ საჭიროებებს წარმოადგენენ. ეს კიდევ უფრო ართულებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მიერ თემების მობილიზებას. თითქმის ყველა რესპონდენტის აზრით, თვალსაჩინოება და კომუნიკაცია არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გამოწვევა და ის სფერო, სადაც მეტი ენერჯია, ძალისხმევა, რესურსები და უნარები არის საჭირო. მეორე მხრივ, აღნიშნულ იქნა თემის მობილიზების მრავალი პოზიტიური მაგალითი, რომლებიც იყენებენ ისეთ არხებს, როგორცაა, ხელოვნება, იუმორი ან კულტურა.

ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შორის არ არსებობს კოორდინაციის მექანიზმები და რომ მათ შორის კომუნიკაციის, თანამშრომლობის ან ურთიერთდობის ნაკლებობა შეინიშნება, რადგან სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაცია სხვა ორგანიზაციებს კონკურენტებად მიიჩნევს. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, თანამშრომლობა, როგორც სტრატეგიული მეთოდი, საჭიროებად არ განიხილება. ქსელები და კოალიციები ხშირად დონორების ინიციატივებად და არამდგრად სტრუქტურებად მიაჩნიათ. განსაკუთრებით დაბალ დონეზე ურთიერთგაცვლის მექანიზმები ტრადიციულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ახალ ინიციატივებს შორის, რაც მათი განსხვავებული ისტორიითა და გამოცდილების დონით არის გამოწვეული. თუმცა უთანხმოება ერთსა და იმავე თემაზე ფოკუსირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შორისაც არსებობს. არასაკმარის დონეზე არის განვითარებული თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა და ბიზნესს შორის.

---

## სამოქალაქო საზოგადოება და გენდერი

### → ქალთა მდგომარეობა

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში, მასმედიასა და სამეცნიერო წრეებში ზოგადად ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი, განსაკუთრებით, საშუალო დონის მენეჯერთა თანამდებობებზე.<sup>31</sup> ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, ქალები უფრო ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის თაობაზე, ხოლო მამაკაცები უფრო კერძო სექტორისკენ იხრებიან. ევროკავშირის CSO საგზაო რუკის დასკვნები ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს და უჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა სექტორში დასაქმებულთა 64% ქალია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 85% ქალია და მოხალისეთა 75% ასევე ქალია. რესპონდენტთა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ქალები უმრავლესობაში არიან ასევე

---

<sup>30</sup> საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ინიციატივა (2018). საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, ევროინტეგრაციისა და ბიზნესის ორგანიზაციების მიმართ. მასალა ვებგვერდიდან:

<https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/bce/5cdc9bbce0dca11121129.pdf>

<sup>31</sup> აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (2019). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის შეფასება.

ინიციატივების მხარდამჭერთა და ინდივიდუალურ დონორთა შორის და, აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციათა სექტორის რეალურ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

ეს სურათი მკვეთრად განსხვავდება ქალების წარმომადგენლობისაგან პოლიტიკაში. დღეს, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ქალია, პარლამენტის წევრთაგან მხოლოდ 15%-ია ქალი<sup>32</sup> და ქალთა წარმომადგენლობა ასევე განსაკუთრებით დაბალია მერების დონეზეც.<sup>33</sup> თუმცა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთ-ერთმა ბოლო კვლევამ უჩვენა, რომ საქართველოში, როგორც ქალები, ისე მამაკაცები, უფრო კეთილგანწყობით განიხილავენ გენდერული თანასწორობის საკითხს.<sup>34</sup>

ის საერთო ფაქტი, რომ მთელი სექტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალებთან, შეიძლება მნიშვნელოვნად უწყობდეს ხელს არასამთავრობო სექტორში ზემოაღნიშნული პრობლემების წარმოშობას, როგორცაა, საქმიანობის მასშტაბი, საზოგადოების მობილიზაცია ან ცნობადობის დაბალი დონე. ქართულ საზოგადოებში ქალთა მიმართ სტერეოტიპები ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული, რადგან ქალები ჩვეულებრივ მიჩნეული არიან მზრუნველებად, ხოლო ქალის აზრს ხშირად ყურადღება არ ექცევა. სავარაუდოდ, არასამთავრობო სექტორს და ქალებს ერთმანეთის გაძლიერება შეუძლიათ.

### → ლგბტი პირთა სიტუაცია

საქართველოს ILGA-Europe-ის ცისარტყელას რუკაზე ევროპის 49 ქვეყანას შორის 30-ე ადგილი უკავია.<sup>35</sup> ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში გარკვეული პროგრესი შეინიშნება, განსაკუთრებით, სამართლებრივი გარემოს კუთხით (ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება). თუმცა ეს პროგრესი ძირითადად არის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობისაკენ ქვეყნის სწრაფვის შედეგი - რათა საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, და არა ლგბტი პირთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ მიმართული მთავრობის ძალისხმევის დემონსტრირება.<sup>36</sup> ლგბტი თემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება კვლავ აშკარად ნეგატიურია,<sup>37</sup> ხოლო ლგბტი პირები დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და ძალადობის სამიზნე არიან.<sup>38</sup>

<sup>32</sup> საქართველოს პარლამენტი. ქალები პარლამენტში. მასალა ვებგვერდიდან: <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/qalebi-parlamentshi-23>

<sup>33</sup> მრავალპარტიული განვითარების აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი (2018). გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში. მასალა ვებგვერდიდან: [http://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs\\_EECMD\\_2018.pdf](http://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs_EECMD_2018.pdf)

<sup>34</sup> UNDP. UNFPA (2020) მამაკაცი, ქალი და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოებრივი აზრი და დამოკიდებულება. მასალა ვებგვერდიდან: <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2020/gender-survey.html>

<sup>35</sup> ILGA Europe, ცისარტყელას რუკა, 2020. მასალა ვებგვერდიდან: <https://rainbow-europe.org/#8634/0/0>

<sup>36</sup> ე. ალდგომელაშვილი (2016). ტერეოტიპებიდან თანასწორობამდე: საქართველოში ლგბტ თემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების, ცოდნისა და ინფორმაციის და მათი უფლებების კვლევა. მასალა ვებგვერდიდან: [https://www.researchgate.net/publication/305687857\\_From\\_Prejudice\\_to\\_Equality\\_Study\\_of\\_Societal\\_Attitudes\\_Knowledge\\_and\\_Information\\_Regarding\\_the\\_LGBT\\_Community\\_and\\_their\\_Rights\\_in\\_Georgia](https://www.researchgate.net/publication/305687857_From_Prejudice_to_Equality_Study_of_Societal_Attitudes_Knowledge_and_Information_Regarding_the_LGBT_Community_and_their_Rights_in_Georgia)

<sup>37</sup> იქვე

<sup>38</sup> WISG. ILGA-Europe (2021). დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე და გენდერული იდენტობა საქართველოში. საყოველთაო პერიოდული მიმოხილვა - საქართველო. მასალა ვებგვერდიდან: [https://wisg.org/Data/docs/news/WISG%20and%20ILGAEurope%20joint%20UPR%20submission\\_Georgia\\_Jan%202021.pdf](https://wisg.org/Data/docs/news/WISG%20and%20ILGAEurope%20joint%20UPR%20submission_Georgia_Jan%202021.pdf)



# კოვიდ-19-ის ზემოქმედება

კოვიდ-19-ის პანდემიის აფეთქებისას სახელმწიფოს მკაცრი მარეგულირებელი მიდგომის გამო, ჩვენს მიერ გამოკითხულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სახელმწიფოს როლის ჩანაცვლების მცდელობა არ დასჭირვებიათ - ისინი ძირითადად კონცენტრირებული იყვნენ ხარვეზების დაძლევაზე, რომლებიც მთავრობის რეაგირების გარშემო შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის აფეთქება სამოქალაქო საზოგადოებისთვის ზოგადად გამოწვევა იყო, მან სამოქალაქო საზოგადოებას საპასუხო ზომების მიღების საშუალებაც მისცა, კერძოდ, ქვემოდან-ზემოთ სოლიდარობის მოძრაობების, 'ქრუდფანდინგის' თუ კერძო სექტორის სუბიექტების მონაწილეობის მეშვეობით.<sup>39</sup> საწყისი ფაზის განმავლობაში, ზოგიერთი უკეთ ჩამოყალიბებული არასამთავრობო ორგანიზაცია მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების ახალ და გაურკვეველ სიტუაციასთან მორგების პრობლემის წინაშე დადგა. ბევრი მათგანი შეეცადა დონორისაგან მიეღო თანხმობა პროექტების ადაპტირებაზე და ადრეულ ეტაპზევე ჩართულიყო კოვიდ-19-ზე რეაგირების პროცესში. მრავალ შემთხვევაში პირველი მორეაგირებელი იყვნენ არაფორმალური ან ნაკლებად ფორმალური რიგითი აქტორები, რომლებმაც თვითორგანიზება მოახდინეს ნებაყოფლობით საწყისებზე და მოსახლეობისაგან შემოწირულობას აგროვებდნენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებზედაც კრიზისმა უარყოფითი ზემოქმედება იქონია. მთელი ქვეყნის მასშტაბით სწრაფად ვითარდებოდა კამპანიები ხანდაზმულთა (მაგალითად, „დაეხმარე მოხუცებს“ - ფეისბუქის პლატფორმა, რომელიც საკვებს, წამლებსა და სხვა აუცილებელ საგნებს უზრუნველყოფდა), სოციალურად დაუცველ ჯგუფთა (ფოკუსირებული იყო ინტერნეტ-კავშირისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფაზე შორეულ სოფლებში მცხოვრები ბავშვებისთვის) და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა (მაგალითად, მთარგმნელობითი მომსახურება ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის ქვემო ქართლის რეგიონში) დასახმარებლად. დროის მოკლე პერიოდში ამ ინიციატივების მეშვეობით საგულისხმო ოდენობის რესურსები იქნა მობილიზებული ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ასევე, მსხვილი საწარმოებისაგან. ზოგი მათგანი გაოცებულად კი იღო მიღებული შედეგებით.

ინტერვიუები მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფაზე არ იყო ორიენტირებული - ზოგი მათგანი, მაგალითად, „სირცხვილია“, კოვიდთან დაკავშირებული შეზღუდვების განმავლობაში მთავრობის ანგარიშვალდებულებაზე იყო ფოკუსირებული. ამ სფეროში ნაყოფიერი თანამშრომლობა განვითარდა ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.<sup>40</sup>

კოვიდ-19-მა შეწყვიტა ადამიანთა შეხვედრები და საჯარო სივრცის გამოყენება, რაც სამოქალაქო საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბევრმა აქტივისტმა 'ონლაინში' გადაინაცვლა, თუმცა, როგორც ერთ-ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა აღნიშნა: „თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი მოსაზრება ონლაინში, მაგრამ მას არ ექნება ქუჩის დემონსტრაციების ან დიდი თავყრილობების მსგავსი ზეგავლენა“. საჭირო იქნება სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების ახალი მეთოდების გამოყენება და განვითარება.

<sup>39</sup> ე. ფანჩულიძე, მ. წიქაშვილი (2020) საქართველოს ბრძოლა კორონავირუსის წინააღმდეგ: სახელმწიფო და საზოგადოების მედეობა. კარნეგი ევროპა. მასალა <https://carnegieeurope.eu/2020/12/07/georgia-s-fight-against-coronavirus-fusing-state-and-societal-resilience-pub-83145>

<sup>40</sup> იქვე

მზარდი უმუშევრობის გამო საქართველოს ეკონომიკური კრიზისიც ემუქრება. შედარებით ხანგრძლივმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება დაასუსტოს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება და მისი უნარი ადამიანთა მობილიზების თვალსაზრისით. მაგრამ, მეორე მხრივ, ნამახვანის ჰესის გარშემო მიმდინარე მობილიზაცია და პროტესტები უჩვენებს, რომ ხალხის მობილიზება ასეთ პირობებშიც შეიძლება, თუკი ამისთვის საფუძვლიანი მიზეზი არსებობს.

## ზოგადი რეკომენდაციები

### დონორებისთვის:

- გამოდით თქვენი ნაჭუჭიდან: იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ დინამიური და დივერსიფიცირებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, შეამცირეთ შესასვლელი ბარიერები და დახმარება გაუწიეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დედაქალაქიდან დაშორებულ რეგიონებში და ახალგაზრდებს სამოქალაქო აქტორებს. დაინტერესებულ პირთა ჯგუფის დივერსიფიკაციას შეუძლია ხელი შეუწყოს იდეებისა და პროგრამების ახალი ნაკადის გამოჩენას. ამიტომ რეკომენდებულია, რომ დონორებმა გამოაცხადონ საგრანტო შესაძლებლობები და შანსი მისცენ ნაკლებად ცნობილ და აღიარებულ ჯგუფებსაც.
- აღიარეთ, რომ რეალური სოციალური ზემოქმედების მიღწევას შეიძლება რამდენიმე მცდელობა დასჭირდეს და შედეგის მიღწევამდე წარუმატებლობაც განიცადოთ. ნუ იტყვით უარს პრინციპულ, დაინტერესებულ და აქტიურ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობაზე, თუ ისინი წარმატებას პირველი მცდელობისთანავე ვერ მიაღწევენ. ეს, ნაცად მეთოდებთან ერთად, სოციალური ინოვაციების ხელშეწყობი გარემოს დანერგვაში დაგეხმარებათ.
- ხელი შეუწყვეთ დიალოგს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ახალ აქტორებთან და შესთავაზეთ მათ მეტი სივრცე, რათა მათ შეძლონ თავიანთი, ადგილობრივი გარემოებებიდან მომდინარე საჭიროებათა შეფასება. მოახდინეთ სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა წრის დივერსიფიცირება, ვისთანაც თქვენ კონსულტაციების გამართვას შეძლებთ.
- სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობისა და პირობების შეფასებისას ნუ შემოიფარგლებით მხოლოდ რეგისტრაციის რაოდენობითა და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, კონცენტრირება მოახდინეთ სამოქმედო არეალზე. დააკვირდით რა შეზღუდვები ექმნება დამოუკიდებელ საქმიანობას და რა ხარისხის ზეწოლას განიცდიან ადგილობრივი აქტივისტები, სამოქალაქო მოძრაობები და ორგანიზაციები სახელმწიფო სტრუქტურებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან.
- განიხილიეთ ფინანსირების სხვადასხვა დონის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადგილობრივი ორგანიზაციების ზომასთან და გამოცდილებასთან. ადგილობრივი და ახალი მოძრაობებისთვის განიხილეთ დაფინანსების მოქნილი მექანიზმები მცირე გრანტებით, გამარტივებული ადმინისტრირებით და ყურადღების კონცენტრირებით მათ განვითარებასა და სწავლებაზე. უფრო დიდ და გამოცდილ არასამთავრობო ორგანიზაციებს შესთავაზეთ უფრო მსხვილი გრანტები, სადაც შეიძლება გამოყენებული იქნეს მონაწილეობის უფლების სტანდარტები, გრანტების ადმინისტრირების მოთხოვნები და ანგარიშგების მექანიზმები.

- სამოქალაქო საზოგადოების ახალი აქტორების ეფექტური დახმარებისთვის ინდივიდუალური მიდგომა არის საჭირო. ჩვენ მოვუწოდებთ დონორებს შეამცირონ საწყისი მოთხოვნები (მრავალწლიანი გამოცდილება და ადრე განხორციელებული პროექტები), საგრანტო კონკურსის გამოცხადებისას გამოიყენონ ადგილობრივი ენები და მჭიდრო ურთიერთობა შეინარჩუნონ ბენეფიციარებთან პროექტის განხორციელების განამვლობაში. საგრანტო კონკურსის რეკლამირებისათვის გამოიყენეთ სოციალური ქსელები, შესაძლებლობის ფარგლებში და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის მდგრადი გარემოს შექმნის მიზნით, სათანადო ყურადღება დაუთმეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციულ განვითარებას და ფოკუსირება მოახდინეთ გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი) ფინანსირების უზღუნველყოფაზე. განიხილეთ დაფინანსების ძირითადი მექანიზმები.
- უზრუნველყავით, რომ ფინანსირების მექანიზმები ითვალისწინებდეს ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებულ დასაბუთებულ ხარჯებს (ძირითადი პერსონალისა და კვალიფიციური ექსპერტების ხელფასების ჩათვლით).
- შექმენით საკმარისად მოქნილი ბიუჯეტი, რათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ბიუჯეტით უკეთ დაკმაყოფილდეს მზარდი საჭიროებები და უზრუნველყოფილი იქნას ცვალებად სიტუაციებთან ადაპტირება.
- განიხილეთ საკმარისი ბიუჯეტის გამოყოფის შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საჭიროებათა შეფასების აქტივობებისთვის და ადგილობრივ თემებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.
- განიხილეთ ანგარიშგების კორექტირების შესაძლებლობა, რათა მეტი ყურადღება დაეთმოს პროექტის ზემოქმედებას და არა მის განხორციელებას პირველად ბიუჯეტთან მკაცრი შესაბამისობის და დაგეგმილი ღონისძიებების უცილობელი განხორციელების მოთხოვნების დაცვით.
- დაიცავით ბალანსი ადვოკატირების, მომსახურების მიწოდების და თემის განვითარების აქტივობათა დაფინანსებას შორის.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და სექტორის საერთო მდგრადობის გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებული დახმარება გაუწიეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და სტრატეგიულ კომუნიკაციების გაუმჯობესებაში.
- მხარი დაუჭირეთ ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა განვითარების პროგრამებს, რომლებიც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და კონკრეტული ორგანიზაციის საჭიროებების შესაბამისი იქნება (მოიცავს გრძელვადიან მენტორობას და არა ყველასთვის მისასადაგებელ მიდგომას). (შეარჩიეთ ტრენერები რეგიონიდან, ან ისინი, ვისაც რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ ღრმა და განახლებული ცოდნა აქვს).

## სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის:

- თუ თქვენ უკვე სათანადოდ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია ხართ, კონცენტრირება მოახდინეთ ურთიერთქმედებაზე ადგილობრივი დონის აქტივისტებთან და სამოქალაქო საზოგადოების ახალ აქტორებთან და განიხილეთ ადვოკატირების ერთობლივი კამპანიების ჩატარების შესაძლებლობა.
- ხელი შეუწყვეთ ადგილობრივი დაფინანსების შესაძლებლობათა გაძლიერებას.

- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით განიხილეთ დაფინანსების სხვადასხვა ალტერნატივა (ხელმისაწვდომი ადგილობრივი რესურსების, „ქრუდფანდინგის“ და სოციალური მეწარმეობის ჩათვლით).
- მოახდინეთ ინვესტირება საკუთარი გუნდისთვის; გუნდიდან მეტი ადამიანი ჩართეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; იზრუნეთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია აღქმული იქნეს მოტივირებულ ადამიანთა გუნდად და, აგრეთვე, ინსტიტუციად.
- გამოიჩინეთ ინიციატივა და გაუზიარეთ დონორებსა და სექტორში მოღვაწე მსგავს ორგანიზაციებს თქვენი მოსაზრებები ადგილობრივი პრობლემების შესახებ.
- შეინარჩუნეთ სწავლის სურვილი. მუდმივი ცვლილება, სირთულე და გაურკვეველობა გლობალურ წესად იქცა - სწავლის კულტურა, ცლილებებისადმი მუდმივი ადაპტაცია და ინოვაციური გადაწყვეტები ფუფუნება კი აღარ არის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის ძირითადი წინაპირობაა.
- დანერგეთ და ხელი შეუწყვეთ თქვენი ბენეფიციარების მიერ „ქრუდფანდინგის“ პლატფორმის გამოყენებას. გარდა იმისა, რომ იგი თქვენი ბიუჯეტისთვის კარგი დანამატი იქნება, მას ასევე შეუძლია ნდობა განამტკიცოს აქტივისტებსა და მთლიანად საზოგადოებას შორის.
- დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოება ბევრ ქვეყანაში სწრაფად ბერდება. უფროსი ასაკის პერსონალის გამოცდილებასა და იდეებზე დაყრდნობასთან ერთად, იფიქრეთ ადგილობრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებში ახალგაზრდობასთან ურთიერთქმედების პოლიტიკის წახალისებაზე. ახალგაზრდა აქტივისტები ხელს უწყობენ ინოვაციების დანერგვას და სექტორში ახალი იდეები გავრცელებას. მენტორთა პროგრამებით შესაძლებელია ინსტიტუციური მეხსიერების და გამოცდილების გადაცემის მხარდაჭერა აქტივისტთა თაობებს შორის და თაობათა შორის უწყვეტობის უზრუნველყოფა.







Funded by the  
European Union



© People in Need. საავტორო უფლებები დაცულია. ლიცენზია გადაეცა ევროპის კავშირს გარკვეული პირობებით.

ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროპის კავშირის დაფინანსებით. მის შინაარსზე მთლიანად არის პასუხისმგებელი ორგანიზაცია „People in Need“ და იგი უცილობლად არ გამოხატავს ევროპის კავშირის შეხედულებებს.

ავტორები: ანა ზამეიკი, ელენა ტერცი, თომას კომი  
გამოცემულია ორგანიზაციის „People in Need“ მიერ, 2021

